ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3326620

ნომერი: AR1510340

თარიღი : 01.06.2017

გაცემის თარიღი : 23.06.2017

გაცნობის თარიღი : 23.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 5 და 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ ლომსაძე პ/ნ 01019015694
- თბილისი სვანეთის ქ. N 23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 02 ივლისის №732232 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017

წლის 01 ივნისის #AR1510340 განცხადებით მომართეს ავთანდილ ლომსაძემ და ბესარიონ ჩხაიძემ და მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 02 ივლისის №732232 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2013 წლის 02 ივლისის №732232 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, ქინძმარაულის ქ. #5-ში და 10-ში, სს „ორბელი 91“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.19.33.001.111) საწარმოო, საოფისე შენობა–ნაგებობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 03 ივლისიდან 2014 წლის 03 ივლისის ჩათვლით.

ვინაიდან მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 03 ივლისის ჩათვლით, სამსახურის 2013 წლის 02 ივლისის №732232 ბრძანება, ვადის გასვლის გამო, ნებართვის გაცემის ნაწილში, ძალადაკარგულია.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: #882017193994, მომზადების თარიღი: 16/03/2017 12:27:36) თანახმად, ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქ. #5-ში და 10-ში, #01.19.33.001.111 საკადასტრო კოდით აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა სააქციო საზოგადოება „ორბელი-91“ (208213878). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხ. რეგისტრაცია -B17045631, მომზადების თარიღი: 24/04/2017 14:23:46), სს „ორბელი-91“-ის დირექტორია ბესარიონ ჩხაიძე, რომელიც დარეგისტრირებულია თანაგანმცხადებლად. ასევე, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილია შესაბამისი ფოტომასალა.

განმცხადებლების განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვენ 2013 წლის 02 ივლისის №732232 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს ავთანდილ ლომსაძის და ბესარიონ ჩხაიძის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ავთანდილ ლომსაძის და ბესარიონ ჩხაიძის 2017 წლის 01 ივნისის #AR1510340 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 02 ივლისის №732232 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.